სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №87

ქ. თბილისი

25 ივნისი 2018წ.

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დამოუკიდებელ ექსპერტთა კოდექსის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (N802665, 25.06.2018წ.) შესაბამისად

ვბრძანებ:

1. თანდართული დანართის შესაბამისად დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დამოუკიდებელ ექსპერტთა კოდექსი;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე განთავსებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიეროფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 25 ივნისის N87 ბრძანებით

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
დამოუკიდებელი ექსპერტის კოდექსი

1 - პრეამბულა - ზოგადი დებულებები

წარმოდგენილი დოკუმენტი ეფუძნება მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის საგრანტო დაფინანსების სქემებში და შესაბამის სააგენტოებში საექსპერტო შეფასების საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებსა და პროცედურებს[1] და განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დამოუკიდებელ ექსპერტთა მუშაობის ძირითად პრინციპებსა და ეთიკურ ნორმებს.

2 - ტერმინთა განმარტება

ა) გენერალური დირექტორი - სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი.

ბ) დამოუკიდებელი ექსპერტი - პირი, რომელიც აფასებს საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილ პროექტს და/ან დაფინანსებული პროექტის შედეგებს, ახორციელებს პროექტის სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასებას;

გ) პროექტი - მეცნიერის/მეცნიერთა ჯგუფის მიერ დაფინანსების მოპოვების მიზნით სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ფონდში წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი;

დ) ფონდი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

ე) შეფასების კრიტერიუმები - საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტის და/ან დაფინანსებული პროექტის შედეგების, სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასებისათვის განსაზღვრული, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები სათანადო ქულების მითითებით.

---

[1] გამოყენებული წყაროები: https://erc.europa.eu/sites/default/files/content/2_AL_Annex_CodeOfConduct.pdf
http://archives.esf.org/fileadmin/Public_documents/Publications/European_Peer_Review_Guide_01.pdf
https://ncn.gov.pl/sites/default/files/pliki/experts-code-of-ethics.pdf

3 - საექსპერტო სამუშაოს ძირითადი პრინციპები

საგრანტო კონკურსებში წარმოდგენილი პროექტების შეფასებაში მონაწილე დამოუკიდებელ ექსპერტს გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს საქართველოში მეცნიერების განვითარებისათვის მისი საქმიანობის მნიშვნელობა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყოფდეს აქტუალური, ინოვაციური და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების გამოვლენასა და დაფინანსებას. დამოუკიდებელი ექსპერტის პროფესიული საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1) უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი - დასაფინანსებლად შერჩეულ უნდა იყოს მხოლოდ საუკეთესო, გამორჩეული პროექტები;
2) მიუკერძოებლობა - პროექტების შეფასება წარმოებს სამართლიანად, მხოლოდ მათი სამეცნიერო ღირებულების და მნიშვნელობის საფუძველზე, სავალდებულოა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების დეკლარირება და მართვა განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად;
3) გამჭირვალობა - გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს წინასწარ დადგენილი წესების, პროცედურების და კრიტერიუმების შესაბამისად;
4) მიზანთან შესაბამისობა - შეფასების პროცესი შესაბამისობაში უნდა იყოს საექსპერტო დავალების (საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებსა და ამოცანებთან, დაფინანსებული პროექტის და მისი შედეგების სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება);
5) ეფექტურობა და დროის ფაქტორი - საექსპერტო საქმიანო მაქსიმალურად ეფექტურად უნდა განხორციელდეს დადგენილ ვადებში;
6) კონფიდენციალობა - ყველა პროექტი, ასევე მასთან დაკავშირებული მონაცემები, ინტელექტუალური საკუთრების საკითხები და სხვა დოკუმენტები ექსპერტების და პროექტების განხილვის პროცესის მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ უნდა განიხილებოდეს კონფიდენციალობის პრინციპების და მოთხოვნების დაცვით;
7) ეთიკა - ეთიკის ძირითადი მოთხოვნები და პრინციპები ინტეგრირებულია საგრანტო პროექტების ექსპერტიზის, განხილვისა და შეფასების პროცესში.

დამოუკიდებელი ექსპერტი ვალდებულია განახორციელოს საექსპერტო საქმიანობა ზემოაღნიშნული პრინციპების დაცვით; დაუშვებელია ექსპერტიზის მონაცემების/შედეგების მთლიანი ან/და ნაწილობრივი დაფარვა და გაყალბება.

საგრანტო კონკურსებში წარმოდგენილი პროექტების შეფასებისას დამოუკიდებელი ექსპერტი მოქმედებს ობიექტურობის და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად, ეფუძნება და ხელმძღვანელობს შეფასების დადგენილ კრიტერიუმებს, იცნობს ინტერესთა კონფლიქტის ძირითად ასპექტებსა და განსაზღვრებებს, ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირების შემთხვევაში მოქმედებს დადგენილი წესის შესაბამისად.

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელი ექსპერტი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების პროცესის, შინაარსისა და დეტალების სრული კონფიდენციალობა. კერძოდ, დამოუკიდებელ ექსპერტს ეკრძალება პროექტის დეტალების და საკუთარი შეფასებების განხილვა სხვა

პირებთან. გამონაკლისს წარმოადგენს კომისიის ან/და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის სხდომები.

დამოუკიდებელი ექსპერტის პრაქტიკული საქმიანობა არ უნდა იყოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის რეპუტაციის შემლახველი.

დამოუკიდებელი ექსპერტი ვალდებულია ზუსტად, კეთილსინდისიერად, ზედმიწევნით და მიუკერძოებლად შეაფასოს საგრანტო კონკურსებში წარმოდგენილი პროექტები, ასევე დაფინანსებული პროექტების ანგარიშები და მასალები.

დამოუკიდებელი ექსპერტი განახორციელებს პროფესიულ საქმიანობას დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ახორციელებს მას თავისი პროფესიული ცოდნის, კომპეტენციისა და გამოცდილების შესაბამისად.

დამოუკიდებელი ექსპერტი არ შეიძლება პროექტის ხელმძღვანელისა ან/და ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობდეს იმ საგრანტო კონკურსში, რომლისთვისაც ის ექსპერტად ან/და კომისიის/დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის წევრად შეირჩა.

დამოუკიდებელი ექსპერტი არ შეიძლება იყოს ახალგაზრდა მეცნიერის მენტორი, დოქტორანტის ან/და მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, თუკი ის შერჩეულია ექსპერტად ან/და კომისიის/დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის წევრად შესაბამის საგრანტო კონკურსებისათვის.

დამოუკიდებელი ექსპერტი ვალდებულია განახორციელოს პროფესიული საქმიანობა ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით.

საექსპერტო საქმიანობის პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტი მუშაობს ინდივიდუალურად, ის არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტულ ორგანიზაციას.

დამოუკიდებელ ექსპერტს ეკრძალება ნებისმიერი კომუნიკაცია/ინტერვიუ შესაფასებლად მიღებული პროექტის ხელმძღვანელთან ან/და ძირითად პერსონალთან, თუ აღნიშნული არ არის განსაზღვრული შეფასების პროცედურებით (მაგ. ორ და სამეტაპიან შეფასებაში, ფონდში წარმოებული პრეზენტაციების დროს). გამონაკლისს წარმოადგენს მონიტორინგის ან/და სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასების მიზნით სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ინიცირებული ან/და დაგეგმილი ადგილზე ვიზიტები.

დამოუკიდებელი ექსპერტის ვინაობა კონფიდენციალურია, დამოუკიდებელ ექსპერტს ეკრძალება პროექტ(ებ)ის შეფასებაში მონაწილე სხვა/დანარჩენი დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ების)/კომისიის წევრთა ვინაობის გამხელა.

დაუშვებელია დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ მისი კოლეგების საქმიანობისა და დეტალების გასაჯაროება და შეფასება.

დამოუკიდებელი ექსპერტი პირადად პასუხისმგებელია მისთვის ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან/და სხვა კომუნიკაციური საშუალებებისა და გადაწყვეტილებების გამოყენებით გადაგზავნილი პროექტ(ებ)ის და სხვა, თანდართული დოკუმენტაციის დაცულობასა და კონფიდენციალობაზე.

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელი ექსპერტი უფლებამოსილია გამოიყენოს ინტერნეტი ან/და ინფორმაციის მოძიების ნებისმიერი ლეგალური და კანონმდებლობით ნებადართული შესაძლებლობა.

დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ ინფორმაციას.

დაუშვებელია დამოუკიდებელი ექსპერტის საჯარო გამოსვლები ან/და განცხადებები ექსპერტიზის საკითხებზე სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებისა და საჭიროების შემთხვევაში ნებართვის აღების გარეშე.

დაუშვებელია დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ საკომისიო წესით პროექტების განხილვის, ან დარგობრივ პანელებში პროექტების შეფასების დროს რაიმე სახით მანიპულირება და სხვა დამოუკიდებელ ექსპერტებზე ზეგავლენის მოხდენა.

4 - ინტერესთა კონფლიქტი

დაუშვებელია დამოუკიდებელი ექსპერტი იყოს პირი, რომელიც არის იმავე საგრანტო კონკურსის და/ან პროექტის მონაწილე.

არ შეიძლება პროექტების შეფასების პროცესში მონაწილეობდეს დამოუკიდებელი ექსპერტი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია ძირითად პერსონალთან ან მონაწილეობდა მასთან ერთსა და იმავე პროექტში;

ბ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან მკვეთრად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში, პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია, პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია, შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

დამოუკიდებელი ექსპერტი ვალდებულია გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია დამოუკიდებელი ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება ექსპერტიზის დასრულების შემდგომ, ფონდი უფლებამოსილია, იმსჯელოს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

Annex II - Code of conduct for independent experts ("experts") in peer review evaluations AND SCIENTIFIC FOLLOW UP (European Research Council – ERC),
https://erc.europa.eu/sites/default/files/content/2_AL_Annex_CodeOfConduct.pdf

European Peer Review Guide - Integrating Policies and Practices into Coherent Procedures (European Science Foundation – ESF)
http://archives.esf.org/fileadmin/Public_documents/Publications/European_Peer_Review_Guide_01.pdf

NCN Experts' Code of Ethics (National Science Center – NCN, Poland),
https://ncn.gov.pl/sites/default/files/pliki/experts-code-of-ethics.pdf